ნარატიული იდენტობა და შფოთვა იმ პირებში, რომლებმაც დაძლიეს ნივთიერებებზე დამოკიდებულება

ხატია ტაბატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

აბსტრაქტი	1
ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება და დაძლევა	5
მაკადამსის ცხოვრების ისტორიის თეორია იდენტობის შესახებ	10
12 ნაბიჯის პროგრამა	15
შფოთვა	17
მეთოდი	22
შედეგები	25
შედეგების განხილვა	54
გამოყენებული ლიტერატურა	59

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გამოავლინოს თუ რა ეხმარებათ ადამიანებს ნარკოდამოკიდებულების დაძლევაში, როგორია ნარატიული იდენტობა და შფოთვის ფენომენოლოგია დაძლევის შემდეგ მათ ცხოვრებაში. სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით გამოიკითხა 7 ადამიანი, რომლებსაც წარსულში ნარკოტიკული ნივთიერებების მრავალჯერადი მოხმარების ისტორია აქვთ და ამავდროულად ბოლო სამი წლის მანძილზე შენარჩუნებული აქვთ სიფზიხლის მდგომარეობა, რაშიც იგულისხმება, რომ სამედიცინო დანიშნულების გარდა, არ მიუღიათ რაიმე სახის ნარკოტიკული ნივთიერება ინტრავენურად, პერორარულად ან ინჰალაციის გზით. კვლევაში გამოვიყენე მაკადამსის ცხოვრების ისტორის საკვლევი ინტერვიუ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნარკოდამოკიდებულების სხვა კუთხით დანახვა, ერთი დღის პრინციპით ცხოვრება, ბიო-ფსიქო-სოციალური სიჯანსაღის შენარჩუნება, ურთიერთობები, კონტროლის და თვითკონტროლის მექანიზმი და ღირებულებები ის ფაქტორებია, რომლებიც ეხმარება ნარკოდამოკიდებულ პიროვნებას გამოჯანმრთელებაში. შფოთვის შესწავლისას გამოიკვეთა სიახლესთან დაკავშირებული გაურკვევლობისგან, ოჯახთან, მომავალთან, წარსულთან დაკავშირებული საკითხებისგან და ასევე თვითკონტროლის პროცესისგან გამოწვეული შფოთვა. დამოკიდებულებისგან გამოჯანმრთელებული ადამიანების ნარატივები ხასიათდება კომპლექსური სტრუქტურითა და მრავალფეროვანი თემატური ხაზებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნარკოდამოკიდებულების დაძლევა, ცხოვრებისეული ისტორიება, ნარატიული იდენტობა, შფოთვა, 12 ნაბიჯის პროგრამა,